# ლომისი

ფასი 10.000 მანეთი.

რედაქცია: ტფილისი, ხელოვანთა სასახლე სერგიევის ქ. № 13. ტელ. 17-51.

სამი თვით 100 ათასი მანეთი — განცხადების ფასი მორიგებით

კვირა. იანვრის 21. 1923

№ 21. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 21.



ცნობა

საქართველოს სახალხო ბანკის

წარმოების შესახებ

საქართველოს ს. ს. სახალხო ბანკი დაარსდა 1921 წლის 1 სექტემბერს.

აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს: ფულის გადასაგზავნს, სახელდახელო ანგარიშებს; აძლევს სესხებს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებს, ისე კერძო პირთ და ფირმებს თამასუქის ქვეშ და საქონლის დაგირავებით.

ამის გარდა აწარმოებს ყველა ტფილისის ყოფილ ბანკების ლიკვიდაციას.

სავაჭრო განყოფილების დაარსების შემდეგ (აწ. 5 აგვისტოს) ბანკი შეუდგა რეკვიზიციის ქვეშ მყოფ და უპატრონოთ გამოცხადებულ საქონლის მიღებას და ყიდვა-გაყიდვას.

სახალხო ბანკს აქვს განყოფილებები შემდეგ ქალაქებში:

ქ. ბათომში, ფოთში, ქუთაისში, ჭიათურაში, სოხუმში და სიღნაღში. ბანკის ლიმიტი ამ ჟამად უდრის **200** მილიარდ მან. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფულის ნიშნებით

საქართველოს სახალხო ბანკს გამგებლობს: მმართველი **ის. მ. ლორთქიფანიძე**. მისი ამხ. **რ. გ. დუმბაძე** და 3 გამგეობის წევრები: **ი. ს. მენაბდე. ა. ი. ნაიტაკი** და **ლ. ს. ხუნდაძე**


## ქართული მეცნიერება

ასის წლის განმავლობაში რუსეთის ცარიზმისა და ბიუროკრატიის მთელი ძალ-ღონე იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ საქართველოსთვის კულტურული აღორძინების ყოველგვარი გასაქანი მოესპო. რუსეთის თვითმპყრობელობამ მოსპო არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არამედ იგი შეებრძოლა ქართულ კულტურასაც და ქართულ ენასაც, როგორც ამ კულტურის მატარებელს. გამარუსებელი პოლიტიკის სიმძლავრე იმდენად შორს მიდიოდა, რომ პატარა ბავშვებსაც კი ებრძოლებოდა და ყოველ გვარ საშუალებას უსპობდა ცოდნა თავის მშობლიურ ენაზე მიეღო. ეს იყო შავ-ბნელი დრო რუსული იმპერიალიზმის თავ-აშვებული თარეშისა. იანოვსკები და მისი მსგავსი ბიუროკრატები მასლაჯუნასავით დასწოლოდნენ ქართულ კულტურას და სპობდნენ ყოველგვარ საშუალებას მისი განვითარებისას. ამისთანა პირობებში რა თქმა უნდა, ქართული მეცნიერება ვერ განვითარდებოდა. უცხო კულტურის ჩარჩოებში მოქცეული ქართული მეცნიერება თითო-ოროლა წარმომადგენელს გვაჩუქებდა ხოლმე, მაგრამ მათ მოღვაწეობასაც ან ფრთები ჰქონდა შეკვეცილი, ან არსებითად მხოლოდ რუსული მეცნიერების უხეირო დამატებას წარმოადგენდა.

მხოლოდ ერთი ადამიანი ასცილდა გამარუსებელ კულტურის გამრყვნელ ზედ-გავლენას: მხოლოდ ერთი ადამიანი ჩასწვდა გულის სიღრმეში საქართველოს სინამდვილეს და განაცხოველა მშვენიერი ტრადიციები ქართული ისტორიული მეცნიერებისა. ეს ადამიანია **ივანე ჯავახიშვილი**.

ივანე ჯავახიშვილი მშრალი მეცნიერი, თეორიტიკოსი არ არის. იგი ამასთანავე ერთად არის პრაქტიკული მოღვაწე ენტუზიასტი, რომელიც თავის კეთილშობილ სულში ატარებს საქართველოსა და მეცნიერებისადმი ჩაუქრობელ ცეცხლს სიყვარულისას. მხოლოდ ამ სიყვარულმა შეაძლებინა ივანე ჯავახიშვილს ყოველგვარი დაბრკოლებანი გადელახა და საფუძველი ჩაეყარა **ქართული უნივერსიტეტისთვის**. ქართული უნივერსიტეტი უდიდესი კულტურული შენაძენია, და საქართველოს ისტორიაშიაც პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის სახელი ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი.

დაბრკოლებანი მარტო ობიექტიური ხასიათისა არ იყო. როდესაც რუსეთის თვითმპყრობელობა დაემხო და საქართველოს გაეხსნა გზა პოლიტიკური და კულტურული აღდგენისა ობიექტიური დამაბრკოლებელი მიზეზებიც ამით თითქოს მოისპო. მაგრამ უნივერსიტეტის დასაარსებლად ეს საკმაო არ იყო. ნაციონალური მონობის უდიდესი უარყოფითი სახე მარტო ობიექტიური პირობები კი არ არის, არამედ სუბიექტიური მდგომარეობაც. ნაციონალური მონობის დროს ერთის მხრით იზრდება გაბატონებული ერის გაზვიადებული წარმოდგენა თავისი კულტურული მძლეთა-მძლეობის შესახებ, მეორეს მხრით დამონებულ ერში იკიდებს ფესვებს საშინელი სენი საკუთარ კულტურულ ძალთადმი რწმენის დაკარგვისა. ერთის მხრით ჩვენა ვხედავთ კულტურულ გულზვიადობას და ყოყლოჩინობას, მეორეს მხრით — კულტურულ მოკრძალეობას და თავ-დაბლობას. ეს არის უდიდესი ნიშანი ეროვნული გადაგვარებისა და გადაშენებისა. ვისაც საკუთარი ძალ-ღონის რწმენა არა აქვს, ვინც უცხო კულტურის მძლეთა-მძლეობის წინაშე ბრმა მორჩილობით ქედს იხრის, ის უკვე ნახევრად მკვდარი არსებაა, მის სხეულში უკვე ნაციონალური გადაგვარების შხამია ჩაწვეთებული.

საჭირო იყო ამ უიმედობისა და ურწმუნობის დაძლევა. ივანე ჯავახიშვილის უდიდესი ღვაწლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს ურწმუნობა დასძლია და ქართველ საზოგადოებას გადაუშალა თვალ-წარმტაცი პერსპექტივები კულტურული აღორძინებისა. ქართული უნივერსიტეტის მეორე უდიდესი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობს. მან თავი მოუყარა ქართველ მეცნიერებს ქართული სამეცნიერო ტაძრის გარშემო და საფუძველი ჩაუდგა ისეთს საქმეს, რომელიც თავის ნაყოფს გამოიღებს იმ დრომდე, სანამ საქართველო და ქართველი ერი არსებობს.

გ—ელი

## ორი შეხვედრა

კერენსკის და მისი მეგობრების ულაჯო და უნიჭო მთავრობის დროს არსებობდა ერთი სისხლნაკლული დაწესებულება, რომელსაც "დროებითი საბჭო" ერქვა. ამ საბჭოს ერთ კომისიის სხდომაზე შემიხვდა ბაასი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართული სამეცნიერო ძალები მშობლიურ უნივერსიტეტის იდეიის ირგვლივ ირაზმებოდნენ, ხოლო ეს გარემოება ამ იდეიის მოწინააღმდეგეთა ბანაკშიაც დიდ მოძრაობას და საბრძოლველად დარაზმვას იწვევდა. რუსის აკადემიური კულტურა, რევოლიუციის სინათლეზე გამოსული, დღე შემოსწრებულ ღამურასავით თვალებ არეული იცქირებოდა იქეთ აქეთ და მეცნიერულ სეპარატიზმის შიშით პყრობილი ქართულ უნივერსიტეტის იდეიის გაძლიერებას მტრულის წრიპინით უპასუხებდა. საბჭოშიაც იყო რამოდენიმე ასეთი ღამურა, მათ შორის აკადემიკოსი ოლდენბურგი და პროფ. ვასილიევი. ქართველ სტუდენტობის ერთ-ერთ საიუბილეო გამოცემაში თავის დროზე მოთხრობილი გვქონდა ყველა იმ ღონისძიებათა მატიანე, რომელიც ქართულ უნივერსიტეტის განხორციელების წინააღმდეგ იყო მიმართული და რომელშიაც ბევრს ცნობილს პირებს სამარცხვინო მონაწილეობა მიუძღვისთ. დღეს, როდესაც ქართული უნივერსიტეტის მეხუთე წლისთავზე საკმაოდ მაღალ მწვერვალზე ვართ ამოსული, ოდნავი სურვილიც არ გვაქს კვლავ გავიხსენოთ ის გზა, რომელიც ნებით ისტორიისა ჩვენს უკანაა მოქცეული და მიხვეულ-მოხვეულ ბილიკით სადღაც დაღმართში იკარგება. ჩვენი მიზანია ქართველ საზოგადოებას გადაუშალოთ თვალწინ ორი შეხვედრა, რომელსაც უნივერსიტეტის ისტორიასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა ამ ხნის განმავლობაში. ხუთი წლის წინად ხსენებულ საბჭოს შენობაში ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველობითი კილოთი გვირჩევდნენ ხელი აგვეღო იმ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდებოდა. ქართულ ენას არ აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია, ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელი, უიმედო საქმეაო, — გვეუბნებოდნენ ეს გულშემატკივარი ხალხი. თქვენ არც მსმენელები გეყოლებათ, რადგან მათი ნაწილი ძველებურად რუსეთში წამოვა სასწავლად, ხოლო მეორე ნაწილი აჯობინებს რუსულ უნივერსიტეტში სწავლას, რომელიც თქვენს გვერდით იქნება და რომელის მეცნიერულ ღირსებას თქვენ ვერასოდეს მეტოქეობას ვერ გაუწევთო. მოყავდათ მაგალითებიც, იხსენიებდენ ჩეხების და გერმანელების უნივერსიტეტების ისტორიას პრაგაში და სხვ. ჩვენს შორის იმ ჟამად მართლაც დიდი განსხვავება იყო. მთელი ქართველი მეცნიერები რუსულ უნივერსიტეტების სხვა და სხვა ქალაქებში იყვნენ გაფანტული და თავის მოყრას საჭიროებდნენ, ხოლო რუსები ცენტრებში თავმოყრილ მეცნიერებიდან საუკეთესოებს არჩევდნენ რუსულ ტფილისის უნივერსიტეტისათვის და მათი საჩქარო მობილიზაციას ახდენდნენ. ჩვენ მთხოვნელების როლში ვიყავით და მორიდებით ქართული უნივერსიტეტის გახსნის ნებართვას ვითხოვდით, ხოლო ჩვენი ყოფილი „ხაზეინები“ საჩქაროდ ტფილისში რუსულ უნივერსიტეტს **დეპეშით** ხსნიდნენ. ჩვენ არ გვქონდა საკუთარი სახელმწიფო და ქართული უნივერსიტეტი მხოლოდ როგორც **კერძო** უმაღლესი სასწავლებელი უნდა გახსნილიყო, ჩვენი მეტოქეები გაბატონებულ სახელმწიფოებრიობის ძალას და უპირატესობას ემყარებოდნენ. ერთი სიტყვით მათ მხარეზე იყო ყოველგვარი ნივთიერი და ფაქტიური უპირატესობა, ჩვენ მხარეზე ძლიერი იდეა, პათოსი და წარმტაცი ოცნება. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა ჩვენ მოწინააღმდეგებს ნებას აძლევდა ჩვენთან მხოლოდ მფარველობით კილო

ეკადრათ და ეთქვათ: დაგვიჯერეთ, დროს ნუ დაკარგავთ, თავს ნუ მოიტყუებთ, ამ საქმესაც, ისე როგორც სხვა ყოველივეს, ისევ ჩვენ გაგიკეთებთ და მოგიწყობთ, როგორც ეს გვესმის და შეგვიძლია.

რა მოხდა? გავიდა ხუთი წელი და ისტორიას ერთხელ კიდევ მიეცა შემთხვევა დაემტკიცებინა, რომ ძლიერი სული და მაღალი იდეა შეუდრეკელია ნივთიერ და ტეხნიკურ უპირატესობასთან ბრძოლაში. ეს 5 წელი ჩვენი გამარჯვების ისტორიაა. იქნება თავს ვიტყუებთ და ტკბილი ზღაპრებით ვამშვიდებთ? მივცეთ სიტყვა ჩვენს მოწინააღმდეგეებს!

შარშან, უნივერსიტეტის დავალებით რუსეთში ყოფნის დროს სამეცნიერო აკადემიაში გავხელით. ისევ მოვხვდი ჩვენი მოწინააღმდეგეთა წრეში და მათ შორის აკადემიკოსი ოლდენბურგიც ვინახულეთ. რა სთქვა აკადემიკოსმა ოლდენბურგმა? თქვენ შეიძლება კმაყოფილი იყოთ თქვენი თავით, რადგან შესძელით ისეთი რისამე გაკეთება, რაც ოთხი წლის წინად ჩვენ მხოლოდ უიმედო ოცნებად მიგვაჩნდა.

ჩვენ ოდნავადაც არ გვსურს ეს განცხადება ჩვენი მოქმედების ატესტაციად გავასაღოთ. ეს არც გვესაჭიროება და არც დიდ ღირებულების მქონედ მიგვაჩნია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თვით ფაქტი, რომლის მთელი აზრი იმაშია, რომ ჩვენი ყოფილი მოწინააღმდეგეები, თუმცა კბილთა ღრჭენით და განუკვეთელ ხაწვრების მორევით, მაგრამ მაინც აღიარებენ, რომ მათი აზრი გამტყუნდა და ჩვენმა იდეამ ხორცი შეისხა.

ასეთი იყო ეს მეორე შეხვედრა. ამ ორ შეხვედრათა შორის განსხვავება მხოლოდ უბრალო მიჯნაა ჩვენი აკადემიურ ცხოვრების გზაზე. ის შელამაზებული სვეტიც არაა საჯარო გზის სავაგარიში. ის წვიმის წყალ ჩაგუბებული ორმოა, რომლითაც აღნიშნავენ მიჯნას პრიმიტიული აღმშენებლები. ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. შესაძლოა ის დაგუბებული წყალი ცოტაოდნავ კიდეც ყარდეს, საგზაო ჩვენს მასაზრდოებელ ჰაერს ის არ შეადგენს და მაშასადამე ვერც სასუნთქავ ორგანოს მოგვიწამლავს. მას ჩვენ უკვე გვერდი ავუარეთ და გაქანებულ სატრიუმფო სვლაში ყოველნაირი გამაფრთხილებელ ნიშანს ვადევნებთ — მოვემზადოთ მესამე შეხვედრისათვის.

**შალვა ნუცუბიძე.**

# ივანე ჯავახიშვილი

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წ. აპრილის 11-ს სოფ. ხოვლეში (ქართლი). 1895 წ. დაამთავრა 1 კლას. გიმნაზია. 1899 წ. დაასრულა პეტერბურგის უნივ. აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი და იმავე წელს დატოვებულ იქმნა უნივერსიტეტში.

1900 წ. ღებულობს მაგისტრის ხარისხს. დისერტაცია: „სახელმწიფო წყობილება ძველ საქართველოსა და სომხეთში".

ლექციების კითხვა დაიწყო 1903 წ. 1901—2 წლებში იგი მუშაობს ბერლინში თეოლოგ ჰარნაკის და სამართლ. ისტორიის მეცნიერის ბრუნერის ხელმძღვანელობით. 1902 წ. პრუსიის სამეცნიერო აკადემიის უწყებებში გამოაქვეყნა გერმანულად მისი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა: Das Martyrium des heil. Eusthatius v. Mzchetha.

ჯავახიშვილის პირველი შრომანი: ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მქადაგებლობითი მოღვაწეობა. (კრიტ. განხილ.) ამ შრომისთვის ავტორი ოქროს მედლით დააჯილდოვა პეტ. უნივერსიტეტმა.

**უმთავრესი შრომები:**

1) საქართველოს ეკონომ. ისტორია (1 ნაწილი 1907).

2) ქართველი ერის ისტორია (I, II ტ. 1908 9 წ. მეორე გამოც. 13—14 წ.).

3) ისტორიის მიზანი და მეთოდები. (ქართ. საისტ. მწერლობა; წ. 1.

4 **ქართულ სამართლის ისტორია** II წ. I ნაწ. სახელმწიფო სამართალი: ვაზირობა, მოსახლეობა და მოხელეობა. 1917 წ.

5) საქ. საზღვრები. ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული.

6) დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის მე-18 საუკ. (1919 წ.).

სამოქალაქო წყობილება მე-18 საუკ. საქართველოში. დაიბეჭდა პრომეთეში, № 1.

ივ. ჯავახიშვილს დამზადებული აქვს შემდეგი შრომები, რომელიც უსახსრობის გამო სამწუხაროდ ვერ გამოუცია ავტორს:

1) ქართველი ერის ისტორია მე-III წ. (13—14 საუკუნე)

2) ქართველი ერის ისტორია IV წ. 15—16 საუკ.

3) ქართულ სამართლის ისტორია, I წყაროები და უძველესი ხანა II წ. მეორე ნაწ. კათ. ეკლესია. მეფის უფლება. დარბაზობა.

4) ქართ. სამართ. ისტორია III ტ. ქართ. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ისტორია.

5) ისტორიის მიზანი და მეთოდები III ტ. ისტორიის დამხმარე მეცნიერების მეთოდოლოგია ნაწ. I ეპიგრაფია და პალეოგრაფია. საზოგადო და მეტადრე ქართული.

II წიგნი დიპლომატიკა საზოგადო და განსაკუთრებით ქართული.

III ნაწილი ნუმიზმატიკა და მეტროლოგია საზოგადო და განსაკუთრებით ქართული.

6) ქართული ტანისამოსისა თავსახურავისა და შინამრეწველობის ისტორია.

7) საქ. ეკონომიური ისტორია მეორე და მესამე წიგნი (მე-13 — მე 18 საუკ.).

1918 წ. ივანე ჯავახიშვილის დაუღალავი შრომის შედეგი იყო ტფილ. სახელმწ. უნივერ. დაარსება. ივანე ჯავახიშვილმა უკვდავი ძეგლი აუგო თავის ისტორიით ძველ საქართველოს. მანვე ჩაუყარა საძირკველი ახალ საქართველოს მომავალს. ამ მხრით მან დაიმსახურა სახელწოდება „უკვდავი ქართველის". თუ ფრანგებივით ჩვენც გვექნა ქართული სამეცნიერო აკადემია, პირველი უკვდავი ქართველი ჩვენი საუკუნისა იქნება ივანე ჯავახიშვილი.

**1919 წ.** იგი ამშვენებს ტფილისის უნივერსიტეტის რექტორის მაღალ პოსტს, იგი ჯერ ახალგაზრდა მეცნიერია, მხნედ, დაუღალავად მიაქანებს იგი ჩვენი უნივერსიტეტის გემს უკეთეს მომავლისკენ.

**საისელი.**

# პიროვნება და კულტურა

რასაკვირველია, ტრაქტატის დაწერას არ ვაპირებთ იმის გამო, თუ რა მნიშვნელობა აქვს პიროვნებას ისტორიაში. ჩვენ აზრად გვაქვს აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ახლო წარსულიდან იმის დასასურათებლად, თუ რა ძლევამოსილია ცალკე ადამიანის გარჯილობა მთელი ქვეყნის სასიკეთო საქმისათვის. ამით, თავისთავად, თვალსაჩინო იქნება ჩვენს დროში ახლად აგებული აზრი, რომ ქვეყნის კულტურას ამოძრავებს წინ სწავლა და ამყარებს ცალკე პიროვნების შემომქმედი ძალა, ხანდახან მაშინაც-კი, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ხელს არ უწყობს.

ზოგიერთი ჩვენი ეროვნულ-კულტურული საქმე, როგორც, მაგალითად, საადგილ-მამულო ბანკი, ახლანდელი უნივერსიტეტის შენობის აგება, წინამძღვარიანთ კარის სასწავლებელი და სხვა, აღორძინებულია მარტოოდენ კერძო პირის თაოსნობით და გარჯილობით და საზოგადოებას იგი მიუჩნევია მხოლოდ მას

შემდეგ, როცა ამის მიუღებლობა იქნებოდა განგებ დაბრკოლება.

ამ კატეგორიის საქმეთა რიცხვს, უეჭველია, ეკუთვნის ქართული უნივერსიტეტის დაარსებაც.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორი არის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი და არა მარტო ინიციატორი, არამედ განმახორციელებელიც.

1917 წ. რუსეთში თვითმპყრობელობის რეჟიმის მოსპობისთანავე ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა, შეუდგა თავისავე ინიციატივით ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს. შესდგა საზოგადოება ქართული უნივერსიტეტისა გამოცხადებითი წესით. შემუშავებულ იქმნა უნივერსიტეტის წესდება, რომელიც გაიგზავნა პეტერბურგს დასამტკიცებლად. მაგრამ იქ რამდენიმე გავლენიანი პროფესორი წინააღუდგა თურმე ამ წესდების დამტკიცებას. რა საჭიროა, — ამბობდნენ იგინი, — ქართული უნივერსიტეტი, როდესაც მთავრობას განზრახული აქვს ტფილისში რუსული უნივერსიტეტის დაარსება. ამრიგად პეტერბურგიდან არავითარი პასუხი არ იქნა გამოგზავნილი, მაშინ როდესაც პოლიტეხინსტიტუტის გახსნის ნებართვა დეპეშით მოვიდა.—

რაკი ცენტრიდან არა გამოვიდა რა, ივ. ჯავახიშვილმა საზოგადოების სახელით, შუამდგომლობა ადგილობრივ მთავრობასთან აღძრა ამიერ კავკასიის კომისარიატთან, რომელსაც იმ ჟამათ ხარლამოვი მეთაურობდა. როგორც იყო ნებართვა მიღებულ იქნა.

აი, აქიდან იწყება ივ. ჯავახიშვილის დაუცხრომლობა და უდიდესი ღვაწლი.

ხუმრობა საქმე იყო — ქართული უნივერსიტეტის მოწყობა! ყველამ უწყის, რა დიდი გასაჭირით აარსებდა ხოლმე რუსეთის მთავრობა უმაღლეს სკოლას, რადგანაც თვითეულ ამისთანა სასწავლებელს სათავეშივე მილიონი სჭირდებოდა. სად შეეძლო უმწეო საქართველოს, მონობის ერთი ვითარებიდან მეორე ვითარებაში გადასულს, მოეწყო თავისი პატარა ძალ-ღონით უმაღლესი განათლების კერძო. იმის გარდა, რომ საჭირო იყო აუარებელი თანხა, რის გაღებაც ქართველი ერის გამოფიტულ ჯიბეს არ შეეძლო, სხვა ამაზე არა ნაკლები დაბრკოლება ეღობებოდა ამ საშვილიშვილო საქმეს გზად.

ეს იყო — მსწავლულ-მეცნიერთა კრებულის არ ყოლა. ვიცოდით, მართალია, რომ რუსეთში აქა-იქ მოიპოვებოდნენ ქართველი მეცნიერნი, მაგრამ, ჩვენის წარმოდგენით, მათი რიცხვი მეტად მცირე იყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მთელი უნივერსიტეტისათვის საჭირო კრებულის შედგენა. საფიქრებელი კიდევ ის გვქონდა, — დასთმობდნენ ჩვენი მსწავლულნი მზამზარეულ ადგილს და გაუდგებოდნენ შემთხვევასა და ალალბედობაზე დამოკიდებულ ახალ ცხოვრების გზას?! ან კიდევ რუსულ უმაღლეს სკოლაში აღზრდილნი, რუსულად მოპრაქტიკენი შესძლებდნენ პირდაპირ ქართული ენით ლექციების კითხვას.

აი ესა და სხვა მრავალი ამისთანა ეჭვი ებადებოდა ქართველ საზოგადოებას და ისინიც კი, ვინც სულით და გულით თანაუგრძნობდნენ ივ. ჯავახიშვილის გატაცებას, — თავისდაუნებურათ სადღაც გონების ხვეულებში განიცდიდნენ ამ მგესლავი ეჭვების წამლას.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ გარეგნულად საზოგადოება დიდის გულხმიერებით შეხვდა და ასობით წევრი ჩაეწერა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებაში, მაგრამ მცირედი საწევრო ფულით რაიმე გაკეთდებოდა.

ერთის სიტყვით, ქართული უნივერსიტეტის დაარსების გარშემო ისეთი ობიექტიური გადაულახველი პირობები შეიქმნა, რომ საზოგადოების გამგეობა, რომელსაც უკანასკნელი სხდომა, თუ არა ვცდები, 1917 წ. ნოემბრის დამლევს თუ დეკემბრის დასაწყისს ჰქონდა, იძულებული გახდა დაედგინა, რომ უნივერსიტეტის გახსნა მოსახერხებელია არა უადრეს 1918 წლის შემდგომისა. ერთად ერთი ადამიანი იყო ამის წინააღმდეგი ივანე ჯავახიშვილი,

# კაცობრიობის ესთეტიურად აღზრდა

### ფრიდრიხ შილლერი.

I.

„როდესაც კარზედ მომდგარი ომი ემუქრება ჩვენ სამშობლოს, პოლიტიკურ პარტიების ერთმანეთში ბრძოლა კიდევ უფრო საშიშრად ჰადის საქმეს, და საბოლოოდ აფრთხობს „მუზასა და გრაციებს", როდესაც არ არის ძველი ამ მტრისაგან, არც საუბარში, არც თანამედროვე ლიტერატურაში, ზედმეტი არ იქნება შევიყოლიოთ გაფანტული მკითხველი სხვა საწინააღმდეგო საგნით, აშკარაა, თანამედროვე პირობები ძალიან ცოტა გარანტიას იძლევა, რომ ასეთ გამოცემას, რომელიც დადუმებული იქნება ყოველდღიურ საკითხების შესახებ, გასავალი ექნეს. მაგრამ რამდენადაც ყოველ დღიურობით შემოხაზული ინტერესები იპყრობს გონებას დაჭიმულ მდგომარეობაში, მით უფრო ძლიერია მოთხოვნილება რომ გაანთავისუფლოს შეიქვილი გონება, მაღალი, წმინდა ადამიანური იდეებით და პოლიტიკურად დაყოფილი და დაქუცმაცებული მსოფლიო შეაერთოს **ჭეშმარიტებისა და სილამაზის** დროშის ქვეშ."

ასეთი წინასიტყვაობა წაუმძღვარა შილლერმა 1795 წ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს თავის ჟურნალ „Horen"-ს, სადაც დაიბეჭდა მისი საუკეთესო წერილები ესთეტიკის შესახებ: 1) „წერილები კაცობრიობის ესთეტიურად აღზრდაზე" და 2) „გულუბრყვილო და სენტიმენტალური პოეზია."

ეს სიტყვები სავსებით შეეფერება ჩვენ დროსაც. არც თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური პირობები და არც საერთოდ ჩვენი კულტურულ ინტერესთა დონე შესაფერ პირობებს არ იძლევა, რომ მკითხველი საზოგადოება გულისყურით მოეპყრობა გახუნებულ მსჯელობას სილამაზისა და „ლამაზი ზნეობის" შესახებ. მაგრამ ის ნათელი აზრები და წრფელი განცდანი, რომლითაც ღელავდა საფრანგეთის რევოლუციის დროს გერმანეთის გენიოსი, ახმახი ტანის და სევდიან სახის მქონე შილლერი, მარად საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის. ჩვენი კულტურული რენესანსი ღარიბი იქნება თუ იგი არ წავიდა იმ გზით, რომელიც უჩვენა კაცობრიობას შილლერმა. ეს არის გზა **„ესთეტიურად გარდაქმნის"** რომელიც დააყენებს და შექმნის ისეთ მთლიან და ჰარმონიულ პიროვნებას, როგორიც არსებობდა ძველ ჰელადაში, ეს იქნება ესთეტიური გარდაქმნა, რომელიც თვით შეიცავს უმაღლეს ზნეობასაც, მოხდება სინტეზი სილამაზისა და „ლამაზი ზნეობის", ან როგორც შილლერი იტყოდა **„სიმშვენიერის და გრაციების"**.

ძლიერ რთულ და მიმზიდველ პიროვნებას წარმოადგენს შილლერი, შეიძლება უფრო რთულს, თავისი განცდის ახრივ, ვიდრე **გოეთე**. მასში იბრძოდა მხატვარი, მორალისტი და ფილოსოფოსი, მისი იდეალი კი იყო მთლიანი და ჰარმონიული პიროვნება, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ მისაგან კოლლიზიიდგან შილლერი გამარჯვებული გამოვიდა. ბევრი მწერალი და მათ შორის გოეთეც, შილლერის ფილოსოფიით გატაცებას სთვლიდნენ, როგორც ღალატს პოეტური შემოქმედების წინაშე. შეიძლება ეს მართალიც იყოს თუ პოეზიის დამახასიათებელ თვისებათ აღვიარებთ მხოლოდ მის სტიქიურობას.

პოეტურმა ალღომ მიიყვანა შილლერი ფილოსოფიამდი. მას არ აკმაყოფილებდა მარტო უშვალო შემოქმედება, არამედ სურდა გამოერკვია პოეზიისა და პოეტის დანიშნულება; გარკვეული უნდა ყოფილიყო მისთვის პოეტის იდეალი და ნათელი — გზა, თუ საით უნდა მიუძღოდეს მან თავისი შემოქმედებით კაცობრიობას.

ამ დროს შეიქმნა დიდი ფილოსოფიური სისტემა, რომელსაც აზროვნების რევოლუცია უნდა მოეხდინა, ამ დროს დაიწერა წიგნი, რომელმაც მეცნიერულ საფუძველზე დააყენა ესთეტიური საკითხები. ეს იყო დიდებული **კანტის** შემოქმედება. შილლერის მახვილ გონებასა და ძლიერ განცდას ეს უყურადღებოთ არ დარჩებოდა და იგიც ყმაწვილური აღმაფრენით დაეწაფა კანტის შემოქმედების შესწავლას.

შილლერის აზროვნებაში ეს ხანა იყო ბრძოლა მხატვარისა და მორალისტის, სილამაზისა და ზნეობის შორის, მაგრამ გამარჯვება მაინც მხატვარს რჩებოდა, არა ზნეობის დამარცხებით, არამედ სინთეზით სილამაზისა და ზნეობრიობის, უფრო კი ესთეტიკოსის გამარჯვებით, რომელიც თვითვე შეიცავდა უმაღლეს ზნეობასაც.

* * *

შილლერის აზროვნებაში ცენტრალური ადგილი უკავია თავისუფლების პრინციპს. თავის სიყმაწვილეში იგი გატაცებული იყო პოლიტიკური თავისუფლებით, ამ დროს ეკუთვნის მისი ცნობილი „ყაჩაღები", დიდი მეოცნებე „კარლოს მოორი."

შილლერის თვალწინ იშლებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია, მთელი თავისი შორეული პერსპექტივებით. „ყაჩაღები" ითარგმნება ფრანგულ ენაზედ, პარიზის ხალხი ეძლევა უმაღლეს ექსტაზს. 1792 წ. 26 აგვ. შილლერს ეროვნული საბჭო ირჩევს „საფრანგეთის მოქალაქედ", დიპლომზე ხელს აწერს დანტონი. ეს იყო შილლერის სიყმაწვილის ენტუზიაზმი, შემდეგში სასტიკად დაგმობილი. შილლერის თვალწინ გადაიშალა არა ტრიუმფი თავისუფალი ადამიანის, არამედ აღვირ ახსნილ ბრბოს გულშემზარავი ყიჟინი. მის სახეს სევდის ნაწარი გადაეფარა, კეთილშობილი ოცნება სასტიკი სინამდვილით ფრთა მოჭრილი დარჩა.

შილლერს არ ასვენებს ლუდოვიკოს მე-XVI ბედი, მას სურს მოწოდებით მიმართოს საფრანგეთის ხალხს, რომ დაიცვას მისი სიცოცხლე. ასეთი ფიქრებით იყო მოცული გერმანეთის დიდი ჰუმანისტი მწერალი. იქ კი პარიზში, გილიოტინას უმზადებდნენ ტამპლში დატუსაღებულ გვირგვინოსანს.

და სწორედ იმ დროს, როცა რესპუბლიკიური იდეებით აღფრთოვანებული ახალგაზრდები **ჰელდერლინი** და **ჰეგელი** საფრანგეთის რესპუბლიკის დაარსების დღეს, გიჟურ ცეკვას უვლიან თავისუფლების ხის გარშემო, ტიუბინგერის მოედანზე, **შელლინგი და ჰეგელი** კი რგავენ თავისუფლების ხეს ნეკარის ნაპირზე; ამ საერთო აღფრთოვანების დროს შილლერი კეთილშობილად ჩაფიქრებული უპასუხებს კაროლინა ლენგეფელდს „საფუძველი, რომელიც უნდა დაედვას ყოველ ჭეშმარიტ-ბედნიერ მოქალაქობრივ შენობას, ჯერ კიდევ გაუკეთებელია ხალხისთვის, იგი მხოლოდ აქ არის", ამ სიტყვებით შილლერი მიუთითებს **კანტის წმინდა გონების კრიტიკაზე**".

ასეთი იყო შილლერის სულიერი დრამა. იგი დარწმუნდა, რომ ნამდვილი თავისუფლება დამყარდება არა გრძნობის კარნახით, არამედ გონების გადაჭრით, ადამიანთა ფსიქოლოგიურ გარდაქმნით, ესთეტიური აღზრდით, და თავისი გატაცება პოლიტიკური თავისუფლებით დააგვირგვინა ფილოსოფიურ-ესთეტიურ დაკვირვებებით.

შილლერი უკეთებს ანალიზს მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარებას:

ადამიანის დანიშნულებაა, რომ მასში გამეფებული იყოს გონება ზნეობრივი კანონის სახით. სახელმწიფო აგებული ზნეობრივ კანონზე არის სახელმწიფო გონებრივი. მაგრამ ადამიანი არის არა მარტო გონებრივი არსება, არამედ მგრძნობიარე არსებაც, პირველი მისი მოქმედებაც სწორედ გრძნობის კარნახზეა დამოკიდებული, იგი იძულებულია შექმნას საზოგადოებრივი ცხოვრება, სანამ შეძლება ექნება მისი გონივრულად მოწყობის. ასეთი სახელმწიფო კი არის **სახელმწიფო იძულებითი. მაგრამ ადამიანი, როგორც ზნეობრი**ვი და თავისუფალი ნების მქონე, ვერ დაკმაყოფილდება ასეთი სახელმწიფოთი, იგი არღვევს მას, რომ შექმნას სახელმწიფო აგებული გონებით. მაგრამ სახელმწიფო ვერ აშენდება ადამიანის ველურ და ტლანქ ინსტიქტებზე; თვისი მაღალი ადამიანური დანიშნულების მიხედვით იგი ხელოვნურად სცდილობს მოსპოს ის, რაც ბუნებრივ ინსტიქტს მოუცია, ამას მიაღწევს იგი მხოლოდ განათლებით, განათლებისთვის კი საჭიროა **აღზრდა**.

შილლერი სწერს: „საუკუნემ შექმნა ასეთი დიდი ეპოქა, ღმერთო! რა მწარეა ასეთ დიდ მომენტში ვხედავდეთ უმნიშვნელო ადამიანებს, ერთს აკლია განათლება, მეორეს — ძალა; ერთი ტლანქია, მეორე კი ზანტი, რომ გაანათლო პირველნი, აამაღლო მეორენი საჭიროა აღზრდა, რომელიც არ შეუძლია მისცეს არც სახელმწიფოს, არც მეცნიერებას, რადგან ამისათვის საჭიროა ადამიანის გაკეთილშობილება.

განწმენდილი და გაკეთილშობილებული გრძნობა, რომელიც იქნება მხოლოდ **ხელოვნებით, სილამაზის საშუალებით.**

და შემდეგ უფრო ვრცლად ანვითარებს:

„ახლა მე მივაღწიე იმ წერტილს, საითკენაც იყო მიმართული მთელი ჩემი წინამსჯელობანი. ეს იარაღი — ხელოვნებაა.

ეს წყარო ჩნდება ხელოვნების უკვდავ მაგალითებში.

ხელოვნება და მეცნიერება დაშორებულია ყოველივე პირობითს და დამოკიდებულს და ორივე სტკბება ხელშეუხებლობით ადამიანის თვითნებობისაგან. პოლიტიკურ კანონმდებელს შეუძლია შემოფარგლოს მათი სამფლობელო, მაგრამ ბატონობა მათზე არ შეუძლია.

მას შეუძლია გააძევოს ჭეშმარიტების მეგობრები, მაგრამ ჭეშმარიტება დასძლევს; მას შეუძლია დაამციროს მხატვარი, მაგრამ ხელოვნების შეკვეთება არ შეუძლია.

მართალია, ძალიან ხშირია ის მოვლენა, რომ მეცნიერება და ხელოვნება ქედს იხრის დროის წინაშე და კრიტიკული გემოვნება კანონებს უწერს შემომქმედს.

სადაც ხასიათი უდრეკი და მაგარია, იქ მეცნიერება მკაცრად იცავს თავის საზღვრებს, და ხელოვნება ხელმძღვანელობს მძიმე წესებს;

სამაგიეროდ იქ, სადაც ხასიათი რბილი და უძლურია, მეცნიერება ისწრაფვის, რომ ასიამოვნოს და ხელოვნება კი — რომ კმაყოფილება მიაყენოს.

რამოდენიმე საუკუნი განმავლობაში ფილოსოფოსნი და მხატვრები მუშაობენ, რომ გაავრცელონ ტლანქ ადამიანებში ჭეშმარიტება და სილამაზე, პირველნი იღუპებიან, მაგრამ ჭეშმარიტება და სილამაზე ძლევამოსილად აშკარავდება იმ ძლიერი სასიცოცხლო ძალით, რომელიც მას შეფერის.

მხატვარი — შვილია თავისი დროის, მაგრამ ვაი მას თუ იგი ხდება მოწაფე და საყვარელი მისი.

დაე, კეთილისმყოფელმა ღმერთმა თავის დროზე მოაშოროს ბავშვი დედის ძუძუს, რომ აწოვოს მას რძე უკეთესი დროის და აღზარდოს იგი სრულ წლოვანობამდის შორს, საბერძნეთის ცის ქვეშ.

და მხოლოდ შემდეგ, როცა დავაჟკაცდება, უცნობის სახით დაუბრუნდეს თავის დროს, მაგრამ არა მისთვის, რომ მოხიბლოს იგი თავისი გამოჩენით, არამედ მხოლოდ მისთვის, რომ აგამემნონის შვილივით განწმიდოს იგი".

ხელოვნება აღიარებულია არა მარტო თვით მიზნად, არამედ საშუალებათაც კაცობრიობის ესთეტიურად გარდაქმნისათვის.

შილლერის იდეალი იყო გონებრივი სახელმწიფო, დამყარებული ზნეობრივ კანონებზე. ამას კი შექმნიდა მხოლოდ ესთეტიური აღზრდა. აქ მომხდარია სინთეზი სილამაზისა და ზნეობის; მთლიანი პიროვნება მოქმედობს თავისუფლების პრინციპით.

**მიხ. აბრამიშვილი.**

რომელიც გადაჭრით ამტკიცებდა, რომ უნივერსიტეტი 1918 წ. იანვარში უნდა გავხსნათო. ხოლო რადგანაც დადგენილება ერთხმად იქნა მიღებული, მან გამოითხოვა, — უკეთუ რაიმე გამოისობით უნივერსიტეტის გახსნა შემოდგომამდე მოსახერხებელი იქნებოდა, — ამის უფლება ჰქონოდა.

და ჩვენ ვიცით, რომ საქართველო ეზიარა უმაღლეს სკოლას 1918 წლის იანვრის 26-ს.

საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რა უდიდესი თარიღია ეს 1918 წლის იანვრის 26-სი ქართველი ხალხისთვის!.

რა სასწაულით დაიბადა ქართული მეცნიერების კერა ასე მოულოდნელად და იმ ეჭვებისა და უნდობლობის წიაღში, რაზედაც ზევით ვთქვით, — ეს საიდუმლოებაა რჩეული ადამიანისა, რომელიც მშვენიერი იდეით იყო აღფრთოვანებული, უდრეკი ნებისყოფით გატაცებული და ნაკადსავით მჩქეფარე ენერგიით სავსე. უპირატესად-კი ეს საიდუმლოება ნაყოფია იმ გაუნელებელი სიყვარულისა სამშობლოსადმი, რითაც სავსეა ამ ადამიანის გრძნობა-გონების საწყაული.—

და დღეს, როდესაც ჩვენი გაზეთი განსაკუთრებულის ყურადღებით აღნიშნავს ქართული უნივერსიტეტის არსებობის ხუთის წლის თავს, — ჩვენ სრულიად შესაფერად მივაჩნდა — აღგვენიშნა ეს ჩვენი ქვეყნის კულტურის თვალსაჩინო ეპიზოდი.

მით უფრო აღსანიშნავია ეს სამარტიანო გარემოება, რომ, შესაძლებელია, უნივერსიტეტი 1918 წ. იანვრის 26-ს რომ არ გახსნილიყო, — იგი დღეს სრულიადაც არა გვქონოდა. საქართველომ ამ ხუთის წლის განმავლობაში ისეთი მწარე დღეები და გასაჭირი განიცადა, რომ უნივერსიტეტზე ფიქრი, — ვინ იცის, — ქნებ მიჩნეული ყოფილიყო განუხორციელებელ ოცნებად.

**ინ.—**

# ჩვენი პირმშო

ქართული უნივერსიტეტი! მითხარით: რამდენი ქართველი ოცნებობდა ამას ექვსი-შვიდი წლის წინად?

ყველას გვახსოვს, ყველას განუცდია — შავ-ბნელი, „დუხჭირობისა და ვერაგობის“ დრო რუსეთის თვითმპყრობელობისა. დრო, როდესაც მოწინავე ქართველობა და ქართული პრესა იბრძოდა ერთ პატარა, მაგრამ იმ ჟამად ფრიად დიდ საკითხის გარშემო: ბავშვს რომ სკოლაში პირველად შევიყვანთ, რუსული ენა წლის დამდეგიდანვე იწყებოდეს, თუ მეორე ნახევარშიო.

მაგრამ თვითმპყრობელობა დაემხო. „შეუძლებელია საერთაშორისო გაერთიანება პროლეტარიატისა, შეუძლებელია მშრომელი ხალხის ურთიერთი მშვიდობიანი თანამშრომლობა, თუ ყოველი ერი არ გაერთიანდა თავის შიგნით და არ მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა“ — ასე ამბობს ფ. ენგელსი კომინისტურ მანიფესტის იტალიურ თარგმანისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში. რევოლიუციისა და მსოფლიო ომის ქარტეხილში — ქართველმა ერმა მიაღწია, როგორც თავის გაერთიანებას, ისე დამოუკიდებლობას. მაგრამ რა არის დამოუკიდებლობა ერისა, თუ მას საკუთარი კულტურა არა აქვს, თუ იგი ერის ენაზე ვერ ალაპარაკებს მსოფლიო მეცნიერებას?

და აი, იშვა ქართული უნივერსიტეტი. იშვა ერის თავისუფლებაზე უფრო ადრე. და თვით ფაქტით თავის შობისა — მან შესაფერისი ადგილი მოუპოვა ქართველ ერს მსოფლიო კულტურის მზის ქვეშ.

ასის წლის განმავლობაში დამუნჯებული ვიყავით. ასის წლის განმავლობაში ალრჩობდა რუსეთის თვითმპყრობელობა ჩვენს ენას, მწიგნობრობის, კულტურას. იმდენად შევეჩვიეთ სიჩუმეს, რომ ეჭვი გვეპარებოდა — შეგვეძლო-თუ კი ოდესმე ალაპარაკება? მაგრამ თვითმპყრობელობა დაიღუპა — ჩვენ ქართული უნივერსიტეტი გვაქვს!

აგვეხსნა მყისვე ხუნდები და ვიხილეთ ფერისცვალება საოცარი: დამუნჯებული ერი ამეტყველდა. კათედრებიდან გაისმა სამეცნიერო ქართული. თითქოს გვინდოდა საუკუნის მონობაში დაკარგული აგვენაზღაურებინა: გაჩაღდა მუშაობა ფიცხელი, ქართული კულტურის სამსხვერპლოზე კვლავ ალაპლაპდა წმინდა სანთელი ერის, მისი წარსულის და მომავლის სადიდებლად.

და ის, რაც გაკეთდა ამ ხუთ წელიწადში — ვერ წაიშლება საუკუნოებით. შეუძლებელია ჩაქრობა ამ ლამპრისა, ასე რომ გაანათა ჩვენი ცხოვრება. შეუძლებელია კვლავ დამუნჯება. ქართული კულტურა იცოცხლებს და მაშას დამე იცოცხლებს ქართული უნივერსიტეტიც.

დიდია სამუშაო და ჩვენ იმედი გვაქვს მომკალთა. „ქართლისა ქვეყანაი დიდად ნაკლულევან არს წიგნთა-გან და მრავალნი წიგნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა: აწ ილუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღვთისაგან“.

ასე მიმართავდა მე-XI ს. იოანე მთაწმინდელი თავის შვილს ექვთიმეს. თუ ზემოხსენებული სიტყვები მართალი იყო მე-XI საუკუნისთვის, მართალია დღესაც. მიუხედავად ამ ოთხი ხუთი წლის გაათკეცებულ შრომისა: ქართლისა ქვეყანაი ეხლაც „ნაკლულევან არის წიგნთაგან.“ და ვის შეუძლია ამისათვის ილვაწოს, თუ არ იმავე ჩვენს პირმშოს, ჩვენს უნივერსიტეტს?

იმავე მე-XI საუკუნეში ქართველი ბერები, მაშინდელი მეცნიერების მუშაკნი იტყოდნენ: საქართველოს განლიერებისათვის — უფლისა მიმართ ვილოცოთო. დღეს ჩვენ ლოცვა აღარ ვიცით. ჩვენი ლოცვა — შრომაა, როგორც გერცენი ამბობდა. და უდიდესი შრომა სწორედ უნივერსიტეტის მესვეურთ, მის მუშაკთ ეკისრებათ.

და ჩვენ გვინდა დღეს მათ ვუთხრათ: დიდება თქვენ, ერის კულტურისათვის დაუღალავად მოღვაწენო! მხნეობა და ენერგია მომავალ მუშაობაში. ჩვენ ვიცით, ჩვენ გვწამს: განთავისუფლებულ ერის პირმშო თქვენი პირმშოც არის. სალამი ქართველ სტუდენტობას, თქვენს მსმენელებს, რომელნიც თქვენს მიერ გადაცემულ ჩირაღდანს არ ჩააქრობენ და ერის მიერ აღზრდილნი მუდამ ერთან იქნებიან.

**ბრუტუსი**

# ჩვენი სტუდენტობა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ. აღკრძალული იყო ოცნება საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში უნივერსიტეტის არსებობაზე.

და ეს იმ დროს, როდესაც ქართველ ახალგაზრდობისთვის უმაღლესი სასწავლებელი იყო აუცილებლობა. და ჩვენ ვყოფილვართ მოწამენი! რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლით და ენერგიით აღსავსე გაგვიცილებია მშობლიურ სადგურებიდან ცივ უცხოეთ საკენ.

ფიქრი ყოველთვის ერთი იყო, რომ ისინი დაბრუნდებოდენ მომწიფებული, განათლებული. სინამდვილეში კი ბევრჯერ დაგვჭირებია იმავე სადგურებზე ლოდინი დალურსმულ კუბოსი, რომლიდაც ცოცხლების ნაცვლად ჩონჩხები გვიბრუნდებოდენ, ან და უკეთეს შემთხვევაში დავიდ მყოფებულების იდეა, რომ მშობლიურ კერასთან აღმოხდარიყო უკანასკნელი ოხვრა გაწამებულ სულისა.

ვერ ეტყობოდა ჩვენი ახალგაზრდობა რუსეთის გაყინულ ველებს.

ვერ უმკლავდეოდა შიმშილს შოოეულ ქვეყნებში და იღუპებოდენ.

ბოლოს, რევოლიუციის ერთმა მონაპოვართაგანმა დაგვანახვა ჩვენ ტფილისის გაშლილ კალთაზე უნივერსიტეტის კედლები.

ველირსეთ ქართულ ეროვნულ მეცნიერების ტაძარს. და ნურავის გაუკვირდება, რომ საქართველოს შეუძლია აიტანოს ყოველგვარი ტკივილი, მაგრამ ამ მეცნიერების ტაძარს კი შეალევს მთელ თვის სიყვარულს. გვიყვარს ჩვენ საქართველოს უნივერსიტეტი, გვიყვარს ისე ძლიერად, როგორც ვეხს წინაპართ უყვარდათ თავდადება და წამება სარწმუნოებისთვის. მაგრამ სიყვარულში თუ ვერავინ შეგვეძლება, მეშინია ცოტა არ შეგვრცხვეს, როდესაც დაუკვირდებით როგორ ვეპყრობით ამ საყვარელ კერას.

როგორ ვექცევით ჩვენს ახალგაზრდა სტუდენტობას ჩვენ ვყოფილვართ მოწამე ქართველ სტუდენტობის თავგანწირვის, როგორ ეზიდება იგ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან სურსათს რომ თავი ირჩინოს ამ სიძვირის დროს ტფილისში.

მაგრამ ხაკლებათ ვხედავთ თანაგრძნობას ფართო საზოგადოების მხრივ.

გადაავლეთ თვალი რა გარემოებაში უხდებათ ცხოვრება ჩვენს სტუდენტობას.

ხედავთ თუ არა — რა პირობებში სწაომოებს ეს მეცადინეობა!

სამსახურიდან დაბრუნებული, დაღლილი, დაქანცული იგი დასვენებასაც ვერ ასწრებს, გარბის ლექციების მოსასმენად.

სამსახური — მერე რა პირობებში! ხშირად ხომ თვით სამსახურის დარგი არ შეეფერება სტუდენტის ღირსებას! ან და როგორ ფასდება მათი შრომა?

შეიხედეთ თქვენ სტუდენტის ცივ და ნესტიან სადგომებში და დარწმუნდებით როგორია მათი ხვედრი.

დააცქერდით ქუჩაში გამვლელ სტუდენტის ფერ მიხდილ სახეს და თქვენ იგრძნობთ, რომ ჩვენი სტუდენტობა იმასვე განიცდის დღეს ტფილისში, რასაც მათი მოძმენი უცხოეთში განიცდიდენ.

სიცივე, შიმშილი — აი მომაბეზრებელი და განუყრელი მეგობარი ჩვენი სტუდენტობის.

და როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე.

ქართველი სტუდენტობა — ეს იგივე მომავალი საქართველოა.

საჭიროა მეტი ყურადღების მიპყრობა ქართველ ახალგაზრდობისადმი.

საჭიროა გამოიძებნოს საშუალებანი, რომ გაუმჯობესდეს სტუდენტობის პირობები ნივთიერად და არ უხდებოდეთ სხვა და სხვა შეუფერებელ ადგილებში სამსახური.

ფიზიკურად დაავადებული ახალგაზრდობა დაავადდება სულიერადაც.

მეტი ყურადღება ქართულ უნივერსიტეტს.

მეტი თანაგრძნობა და დახმარება ქართველ სტუდენტობას.

**ადონის.**

### დაქვრივებული განცდა

ნუ იმეორებ ყოველივეს რაც იყო გუშინ.
ო, აღარ მინდა მოუსმინო გაცვეთილ ფრაზებს.
წყევლის ნაკადმა ამოხეთქა დაქანცულ გულში
და სნეულ ნერვებს ეგ ღიმილიც სტანჯავს, აბრაზებს.

ღამე ნათევი და სხვის კოცნით დანახაზები
მოდიხარ ჩემთან, რომ გაჩუქო კვლავ ჩემი ხველა.
ბუნდოვან სახით მელანდე ა შენი ხასები,
და ჩემი ლექსის წაშლილ რითმად არც კი ღირს ყველა.

დღეს ჩემს ქვრივ განცდას შემოვახევ ასეთ სათაურს,
არ მინდა ვნება, არც ალერსი აუტანელი.
გატეხილ ძილში გადავყვები ფიქრების ხმაურს
და მამის ნაცვლად მომეხვევა პატარა ნელლი.

**მარიჯან.**

### უიმედო სივრცეები

მოვალ ქარში, წვიმაში,
როცა ოხვრა ვარდება.
მოვალ, და შენ წინაშე
გავიშლები დარდებათ.

მალე გლოვა მომელის,
და ხმა სევდა ნარევი.
მოკვდა ფიქრი, რომელიც
მაწვალებდა ქარივით.

შენ სანთელი დაირქვი.
და ეს აღარ იციან.
მე მივდივარ და ირგვლივ
უიმედო სივრცეა.

ისევ ბედმა ინათა
როგორც მახსოვს ასეა.
და ვილაცამ მინასთან
თეთრი კუბო ასწია.

ფიქრთან ასე ვერთობი,
გმადლობ! აღარ მცალია.
ღამის სივრცემ წვეთობით
ჩემი სისხლი დალია.

**ტერენტი გრანელი.**

### ეკლის კრიალოსი

მოვზიდე გზაკალი.
მოვზომე საწუთრო.
უმიზნე გზაკვალი,
უწვდენდი სად უფრო...

და ცრემლად ვიცრები.
დაიწვა მზის ქარგა.
არა სჩანს ისრები,
სად გადაიკარგა!

ვერ ვსძლიე მოძალე,
ბიელი საუკუნე,—
თავს ვიეც ბოძალი,
სროლა დაუწუნე...

დავდექ, დავისვენე,
ნისლი მომეხვია;
ვიგრძნე კვლავ ის სენი,
მსჭვლად გულს რომ მეხვია.

სისხლი გავიზომე—
ოც-და-სამძეტია!—
გულში დევის ლონე
როგორ დამეტია!—

ვფიცავ დაფიქრებას
შვიდი გენიოსის,
მთვარის გაფითრებას,
შუქვას გელიოსის,—

შიშით დარბეული
ჯერაც მიტკაცუნებს!—
ახლოს ვერ გაუვლი
ძილშიც დიდ კაცუნებს!..

და როცა გავცდები,—
დედამიწა მორბის.
რა ვქნა ვერ გავსწვდები
გაქანებულ ორბიტს...

ოხ! ნეტავი რისთვის!—
მთა მთას ეხეთქება:
მოდის ანტიქრისტე,
ვაი აფეთქება!..

ღვთისთვის ენა მყივრად
ვაიაფეთ ქება,
და დღეს მის მაგივრად
კაიაფე დგება...

გაისმის ზანზარი:
ცა გადმოვარდება:
გაჩნდება ხანძარი:
წარღვნა მოვარდება...

დაგვიშლის კაი ჰერს
ზეცის ჩამოწოლა,
იმას ვერ დაიჭერს
ქუდები წოწოლა!..

ვახტანგ გორგასლანი!
ახ! ენა მქავდება;
ამგვარ დროთა სვლანი
როდის გათავდება...

სურვილი თოვლია,
გონების ნაცარი;
მე რით გამოვლიო,
გაივლის რაც არი!..

ის დარჩეს ხსოვნაში,
რაც უნდა ვისრულოთ;
ჰიანი ლოლნოში
შორს გადავისროლოთ...

განცვიფრდი, დაოსდი,
გული თუ გენდობა,
იკივლებს ქაოსი,
ღამე გათენდება.

და როცა შენს დროშას
მზე გულში გაირჭობს,
მაშინლა ერუშის
სიცილი ბრმა იჭვებს.

ღამით თუ ძნელია,—
ხმაურმა იპრიალოს,—
ისმინეთ ნელიად
მიწაც იტრიალოს.

გვიზარდოს ბუნება,
გონება გვიალოს.
გაკაწრე ნუნები
ეკლისა კრიალოს!..

**ვ. ტუქხიშვილი.**

# საადის უკანასკნელი დღენი

**თარგმანი სპარსულიდან*)**

1291 წელს, ჯემაზიელ-ევედის თვის მესამე დღეს, (რომელიც ჩვენებურ გიორგობისთვეს უდრის,) — მთელს შირაზს მოედო სამწუხარო ამბავი. საადი კვდებაო! ეს იყო დილით. ბუშირიდან ქარავანს მოელოდნენ. ბაზარი და ქუჩები ხალხით იყო სავსე. მაშინვე ქუჩები დაცალიერდა. ბაზრის სიცოცხლე მისწყდა ჩამი-ჩუმიც აღარსად ისმოდა. სავაჭროები დაიკეტა. სარაჯების უბანი, სადაც მუდამ ისეთი ხმაური და სიცოცხლე იყო, დასევდიანდა, სახე ჩამოსტიროდა... გულდამწუხრებული ხალხი მიდიოდა საადის სახლისაკენ, რომელიც როკა-ნაბადის მიუვალ და განმარტოებულ ნაპირზე იყო აშენებული.

როდესაც ხალხი მიუახლოვდა ჰარასკევის მეჩეთს, მინარეთიდან გაისმა სევდით აღსავსე ხმა: „ელლაჰუ — ექბარ! (დიდ არს ალლაჰი!) დარვიშმა ორჯერ წარმოსთქვა ეს წმინდა სიტყვები. მაშინ როდესაც გაისმა ამ სიტყვათა უკანასკნელი ბგერა შირაზის ათი ათასი მცხოვრები ძირს, მტვერში იდგა მუხლ-მოდრეკილი და თავდახრილი.

მემატიანე, ამ ამბავს რომ გადმოგვცემს, მოგვითხრობს, საადი ამ დროს ჩურჩულებდა: მე მესმის მუეზინის ხმა... განა უკვე დამდგარა ჟამი მესამე ლოცვისა? საკვირველია. ჩემი კვიპაროზის ჩრდილს ჯერ ბაღის შუამდე არ მიუღწევია... რა ამბავია...

მომაკვდავის საუკეთესო მეგობარი პოეტი აზრაგი კუთხეში მიმდგარიყო და ქვითინით ამბობდა:

—არა, ჩემო მეგობარო, ჯერ არ დამდგარა ჟამი მესამე ლოცვისა, რადგან შენი კვიპაროზის ჩრდილი წყაროს მოსდგომია მხოლოდ. მუეზინი მიტომ ჰგალობს ახლა, რომ ჯერ არ იცის ჩვენი წესები. იგი ახლახანს ჩამოვიდა ჩვენში. ნუ გაუჯავრდები, იგი შესთხოვს ალლაჰს, რათა მან მოგანიჭოს სიცოცხლე და ჯანმრთელობა!

—ძმანო ჩემნო — სთქვა საადიმ — ეს ყვავილები მიიტანეთ სარკმელთან, რადგან აქ სუნთქვა უჭირთ... და მერე, თუმცა ამის ღირსი არა ვარ, პირი მიმიბრუნეთ წმინდა ქაბისაკენ და უთხარით მუეზინს...

საადი სულთმობრძავი იყო. აზრაგიმ და აბუ იაკუთმა სანდალოზის ზეთი სცხეს მომაკვდავს და პოეტმა დაათავა:

— უთხარით მუეზინს, მოვიდეს ჩემთან...

აზრაგიმ და აბუ იაკუთმა, ბეითარმა და ჰაბიბმა, რომელნიც სულთ მობრძავს გარს ეხვივნენ, ერთმანეთს გადაჰხედეს. რა უნდა ვქნათ? უთხრათ პოეტს სიმართლე? ან წინდაწინვე მოველაპარაკეთ მუეზინს, შირაზის დიდ დარვიშს თალიმს, საადის საუკეთესო მეგობარს? იყოს ნება ღვთისაო და ბეითარი გარედ გავიდა.

სახლს აუარებელი ხალხი შემოჰხვეოდა. ისეთი სიჩუმე იყო, რომ გარკვეულად მოისმოდა პოეტის კვიპაროსზე მჯდარ გუგულის ამონათქვამი. ასე ამბობს მემატიანე.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა საადის სახლის კიბეს მიუახლოვდა ახალგაზდა ქალი. წყნარად დააკაკუნა კარები და გამომავალ იაკუთს უთხრა:

—მე ნაზიე მქვიან. იმ ქალის სახელი, საადიმ თავის „გულისტანში“ რომ შეაქო. საადი მიცნობს მე და ვუყვარვარ. მომეც ნება მისი დანახვისა. ხმას არ ამოვიღებ, სიტყვას არავის ვეტყვი, არავის არაფერს დავუშლი მე მხოლოდ მინდა თვალი მოვკრა უკანასკნელად და მერე შემეძლება ვილაპარაკო, თუ როგორ ვნახე მე იგი უკანასკნელად...

—გამომყე, უპასუხა იაკუთმა. ქალწულმა მოსწყვიტა წითელი ვარდი და იაკუთს შეჰყვა ოთახში, სადაც იწვა მომაკვდავი პოეტი, პოეტი, ვინც ასწავლიდა და უმოძღვრებდა დიდებულთა და მეფეთ.

ხალხს არ უნდოდა, არა ჰსურდა საადის სიკვდილის ამბავი დაეჯერებინა. დიდი ხანია სპარსნი, რომელთაც ადვილად სჯერათ ყოველივე ზებუნებრივი სასწაული, ჰფიქრობდნენ, რომ მათი საყვარელი პოეტი სასწაულთ მომქმედია ამბობდნენ, რომ წინასწარმეტყველი ჰიზირი ღამ — ღამე გამოეცხადებოდა ხოლმე საადის და მის მრავალმეტყველ ტუჩებს ასხურებდა უკვდავების წყაროს. თან უმატებდნენ, რომ საადის ხშირად ესაუბრებოდა ჯადოქარი მისანი ფრინველი სიმურღი.

ნაზიე მიუახლოვდა პოეტის სარეცელს და ჰაბიბმა სთქვა:

—აი, მოვიდა ნაზიე და თან მოგიტანა სალამი მთელი შირაზისა. საადიმ გაღიმება სცადა, წაიჩურჩულა:

—რა კარგია, რა მშვენიერი, რომ ქალაქელებს ჩემთვის გამოუგზავნიათ ერთი თავისი, საუკეთესო ყვავილთაგანი.

ქალწულს შერცხვა, თუმცა უკანასკნელი სიტყვა გაიგონა მხოლოდ და ეგონა, რომ საადი მის მოტანილ ვარდისას ამბობს.

—მე იგი მოვწყვიტე შენ სახლთან, აქვე... წაილუღლუღა ქალწულმა.

პოეტმა გაიმეორა:

—მშობელმა ქალაქმა თავისი საუკეთესო ყვავი თაგანი გამომიგზავნა. ახლო მოდი, მოდი ჩემთან, ნაზიე.

კვიპაროსის ჩრდილი უკვე მისდგომოდა ბაღის უაგულს და სიკვდილის აჩრდილიც გადაეფარა პოეტის ცნობიერებას. პოეტმა ხელი მოჰკიდა ქალწულს და წაიჩურჩულა.

*) საადი იყო სპარსეთის პოეტი, რომელიც ცხოვრობდა XIII საუკუნეში. მისი წიგნი „გულისტანი“ (ყვავილნარი) გადათარგმნილია თითქმის ყველა ენაზე. ქართულად თარგმნილია რამოდენიმე ადგილი ალექსანდრე სარაჯიშვილის მიერ, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალ „ფასკუნჯში“.

—მე ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ მოხვიდოდი! რა მშვენიერი ხარ დღეს, ქალწულო! გახსოვს ის დილა, მე და შენ რომ ისეშეგვეშინდა? შენ მომეკარ... მემუდარებოდი, კარები არ გამეღო... გახსოვს?

იგი დადუმდა. მან ხელმეორედ განიცადა ის, რაც თავის „გულისტანით“ უკვდავჰყო, განიცადა იმის მოგონება, რაც ოთხმოცი წლის წინად მომხდარიყო, მაგრამ ისე ახალი იყო, ისე ახლო თითქოს გუშინ ყოფილიყოს. მისი მეგობრები თავს ველარ იკავებდნენ და ქვითინებდნენ მწარედ, ქვითინებდნენ დიაცებივით. იაკუთი მიმართავს ნაზიეს.

—ნუ ეტყვი ნაზიე, სიმართლეს. იმას სხვა ჰგონიხარ და ეს უკვდავ გყოფს შენცა და შენს სახელსაც.

აღფრთოვანებული საადი განაგრძობდა თვალდახუჭული:

შენ წინანდებულად მუშკამბრის სუნოვანება გაქვს. სად იყავი აქამდე, ჩემო გაზაფხულო? რისთვის მიმატოვე? მა'ა შემდეგ შორს გადვიხვეწე, მაგრამ შენი სახე არ მომშორებია თვალთაგან. ამ დროშ სწრაფად განვლო. ეხლა ისევ ჩემთან ხარ... მითხარი ხომ შენახარ, შენ, ნაზიე? წინანდებულად იშლება და ჰყვავის იასამანი აზმეგის შადრევანს გარშემო? ალბად იქ დარჩენილა ის გვირგვინები, შენ რომ ჩემთვის სწნავდი მაშინ... გვირგვინები... გახსოვს?..

უცებ, როგორც სანთელი ჩაქრობის წინად, საადი მძლავრად აენთო და ცნობიერება დაუბრუნდა.

მან სთქვა: ნაზიე, უთხარი ჩემს ძმებს შირაზში, რომ სიკვდილის სახე ისევე მშვენიერია და ოქროვანი, ვით უკანასკნელი მტევანი ვაზისა, ვით მთვარე გაზაფხულის მწუხრზე... უთხარი, რომ მისი კოცნაა ერთად-ერთი ქვეყნიერებაზე, დაუსრულებელ წყურვილს რომ ჰკლავს... მისი სევდიანი ჰანგები ღვთიური ჩანგის ხმებია. ერთხელ, ქალწულს, შენი სახელი რომ ერქვა, წაუკითხე ლექსი დიდებულ კი. აიამიდან: ჩვენ ყველანი ერთი დიდი მწკრივი ვართ ფანტაზიით გაჩენილ არსებათა. ჩვენ ყველგან დავდივართ, დავეხეტებით დიდებულ და მშვენიერ მზის გარშემო, რომელიც ამ მწკრივის დღესასწაულის უფროსს უჰირავს ხელში. ჩვენ უსიცოცხლო თოჯინები ვართ იმ საჭადრაკო ფიცრისა, სადაც **დღე** და **ღამე** მოთავსებული. უფროსი გვიბრძანებს სიარულს, სირბილს, გაჩერებას, დაბადებას, სიკვდილს... ერთსა გთხოვ უმთავრესად: არ დაგავიწყდეს უთხრა ჩემს ძმათ შირაზში, რომ სიყვარული სარკეა, სადაც მოსჩანს სახე ღვთისა. დაე, იცნან სიყვარული! დაე, ყველამ იცნას სიყვარულით! დაე, ყველა გაგიჟებული ვნებით დამთვრალი მიეცეს სიყვარულის ტანჯვას. დაე, ქართა კვნესასავით, შროშანას სურნელებით რომ სუნთქავს და თავის მიკარებით რომ ჰკლავს,—ადამიანთა ტანჯვამ ისუნთქოს ღვთიურ გრძნობით...

და ამ სიტყვებით საადიმ სული განუტევა.

მისი ჭაღარა თავი ნაზად დაეყრდნო ბალიშს.

ასე მოკვდა საადი, ჯემაზიელ-ევედის თვის მესამე დღეს, რომელიც ჩვენებურ გიორგობისთვეს უდრის. მოკვდა შემოდგომის სევდიან დღეს, ასე საშინელი და მომაკვდინებელი რომ არის საადის საყვარელ ყვავილებისათვის.

## ბიბლიოგრაფია

**პროფ. შ. ნუცუბიძე—„ალეთოლოგიის საფუძვლები“.** ნაწ. I. ჭეშმარიტების პრობლემა. ეს შრომა ავტორს დიდი ხანია ჰქონდა გამოცხადებული, თავის რუსული შრომის დასასრულში — „Теория науки“ 1913 წ. ავტორი აღნიშნავდა მომავალი შრომის გეგმას და სწერდა, „ჭეშმარიტების პრობლემა“ უნდა დაიწეროს იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც აღნიშნულ რუსულ შრომაში იყო გატარებული. უნივერსიტეტის ჩვენში გახსნასთან ერთად ავტორის მუშაობა საქართველოში სწარმოებს და ამის წყალობით ეს პირველი დიდი გამოკვლევა შ. ნუცუბიძის ქართულ ენაზე გამოვიდა.

ავტორს გრანდიოზული გეგმა აქვს დასახული. ის შემეცნების საკითხს სრულიად ახალ საფუძველზე აყენებს და ამასთან დაკავშირებით, როგორც სჩანს, განზრახული აქვს ლოღიკის ახალ პრინციპებზე აშენება. ამას უნდა დაუკავშირდეს მეთოდოლოგიის და აზროვნების ფსიქოლოგიის დამუშავება.

აღნიშნულ წიგნში ავტორი მხოლოდ პირველ საკითხს ეხება. მისი აზრით, შემეცნების საგანი არც ემპირისტების და რეალისტების „საგანია“, არც კანტიანელების ამოცანის სახით მოცემული შესაქმნელი საგანი, არც ჩვეულებრივი რეალიზმი, არც ტრანსტედენტალიზმი, არამედ ალეთოლოგიური რეალიზმი—ასეთია ავტორის თვალსაზრისი. ავტორი არ არკვევს—არსებობენ საგნები თუ არა. ის მეცნიერების ფაქტს ემყარება, რომელიც საგნებზე მუშაობს და არა მარტო საგნის მასალას აწვდის ფილოსოფიას, არამედ ერთგვარი „ჭეშმარიტების“—მეცნიერულ ჭეშმარიტების შემცველიცაა. ფილოსოფიის საქმეა ამ ჭეშმარიტების ფილოსოფიურ ჭეშმარიტებამდე ამაღლება — ფიქრობს ავტორი.

ამ რიგად შემეცნების საგანია არა საგნის არსებობა, არამედ ამ არსებობაზე წარმატებული, რომელიც ყოველ არსებობას—რა ფორმაშიაც არ უნდა ისახებოდეს იგი, თან ახლავს, როგორც მის ამ გვარად და არა სხვა გვარად ყოფნის გამოხატულება. ამ უკანასკნელ პრინციპს ისტორიულადაც იკვლევს ავტორი, საგნის შემეცნება არ შეიძლება, რადგან იგი ალოგიურია, ავტორის აზრით, მისი შემეცნება შეიძლება მხოლოდ მასზე წარმატებულის საშუალებით, რადგან ამის მეოხებით საგანი ითარგმნება აზრის ენაზე და აზრის გარედ მყოფის სინთეზი ხდება. აქ ერთი მეორეს ხვდებიან „ჭეშმარიტება თავის თავად“ და „ჭეშმარიტება ჩვენთვის“, რომელთა დამოკიდებულება მთელი შემეცნების გასაქანს გამოხატავს.

თანამედროვე გნოსეოლოგიის ყველა საკითხები ამ ნიადაგზე, ავტორის აზრით, თავის გარდაწყვეტილებას ჰპოულობენ. ამიტომაც ავტორი ეწევა პოლემიკას ევროპიულ ფილოსოფიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფილოსოფოსებთან. ასევე ეკამათება ავტორი რუს ფ-ს ნ. ლოსსკის. სხვათა შორის, ავტორი იძლევა სრულიად ახალ გაგებას და მასთან კრიტიკას კანტის ფილოსოფიისას.

ამ რიგად, წიგნის შინაარსი იმდენად რთული და ახალია, რომ მისი მოკლედ გადმოცემა ძალიან ძნელ საქმეს წარმოადგენს. თითოეულ საკითხის შესახებ ცალკე რეფერატის დაწერაა საჭირო.

დიდი ადგილი უჭირავს წიგნში პოლემიკას და ისტორიულ მიმოხილვას, რომელსაც აგრეთვე პოლემიკური იერი აქვს. ამ პოლემიკის მეოხებით ავტორის დადებითი აზრები გარკვეულობის უმაღლეს საფეხურებს აღწევენ.

სასურველია, რომ წიგნი რაც შეიძლება მალე გამოქვეყნდეს ევროპიულ რომელიმე ენაზე, რომ მისი როგორც მკითხველების, აგრეთვე ნამდვილი შემფასებლების წრე გაფართოვდეს.

მ. შ.

## ქრონიკა

**აკაკის ძეგლის კურთხევა**

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის კონფერენციის დღისთვის, რომელიც მოკლე ხანში მოხდება, განზრახულია აკაკის ძეგლის საზეიმო გახსნა.

**არქეოლოგიური აღმოჩენა**

ოზურგეთის რკინის გზის გათხრის დროს, სადგურს ნატანებიდან 12 ვერსზედ სოფელ სკურდელში ნახეს დამწვარი თიხისაგან გაკეთებული ძველი კუბოები.

**წ. კ. გამ. საზო-ში.**

საზოგადოების გამგეობა ფართო მაშტაბით შუედგა ქართული სახელმძღვანელოების გამოცემას. გამგეობას იმედი აქვს რომ მთავრობა მოკლე ხანში აუნაზღაურებს საზოგადოებას იმ ზარალს, რომელიც მოუვიდა წიგნების რეკვიზიციით 1921 წ.

**აღმოსავლეთის ხელოვნება.**

ბერლინის ცნობილმა გამომცემლობამ ბრუნო კასირერმა გამოსცა წიგნების სერია აღმოსავლეთის ხელოვნების შესახებ. ამ სერიებს ეკუთვნის თხზულებები: ეგვიპტელების პლასტიკის, ძველი სპარსეთის ხელოვნების შესახებ. ვასმუტის გამომცემლობით გამოვიდა სერია წიგნებისა: „მსოფლიო სალებავებში“ რომელთა შორის რამდენიმე წიგნი აღმოსავლეთის ხელოვნებისადმი არის მიძღვნილი,

**საქართველოს გეოგრაფია**

რედაქციამ მიიღო ქ. ქუთაისში თ. მთავრიშვილის მიერ გამოცემული „საქართველოს გეოგრაფია“. წიგნის ავტორია ჟენევაში სწავლა მიღებული პრივატ-დოცენტი ივ. რუხაძე. წიგნი შედგენილია, როგორც ვახუშტის ისე სხვა პოპულიარულ ნაშრომის მიხედვით და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

**ქართული ოპერები.**

სახელმწიფო ოპერის სარეპერტუარო კომისიაში წარდგენილია შემდეგი ახალი ოპერები: „ღამის თევა“ ზაქ. ფალიაშვილისა, „დედა და შვილი“ ლეო ფალიაშვილისა, „ცისანა“ ვიქ. დოლიძისა, „მაია“ ალ. ფარცხალაძისა, “დედა-ქურუმი ცეცხლისა“ რევაზ გოგნიაშვილისა.

**ახალი მისტერია.**

კონსტანტინე გამსახურდიამ დაწერა ერთ მოქმედებიანი მისტერია: „გარსი მარადი.“

**სამხატვრო აკადემიაში.**

სამხატვრო აკადემიაში მეცადინეობა დაიწყება იანვრის 22-ს.

**ქართული დრამა.**

ქართულ დრამაში დიდი მუშაობაა. იანვრის 30-სთვის მზადდება «სალომე» და ა. შანშიაშვილის „როდამ“ —თებერვლის 6-ს წარმოდგენილი იქნება გრ. რობაქიძის „ლონდა“ რომელსაც მარჯანიშვილი ამზადებს.

სარედაქციო კოლეგია.


## სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

კვირას, იანვრის 21-ს

### მილიციის დღე.

წარმოდგენილი იქნება:

1. **ჰუგენოტები** (მეორე აქტი).
2. **აბესალომ და ეთერი** (მეორე აქტი).
3. **აიდა** (მესამე აქტი).

მონაწილეობს მთელი დასი.

## რუსთაველის თეატრი

ქართული აკადემიური დრამა

კვირას, იანვრის 21-ს — მეხუთედ

### მზის დაბნელება საქართველოში.

დადგმა კ. მარჯანიშვილისა

სამშაბათს, იანვრის 23-ს

### ოტელლო

დადგმა: აკაკი ფაღავასი.

## საქართველოს კოოპერატიული ბანკი

თანახმად გამგეობის დადგენილებისა ა. წ. 14 იანვრის თარიღით ამით აცნობებს საკოოპერაციო და საზოგადო დაწესებულებებს, რომ იმ შემთხვევაში თუ წარსული წლის ვადაგასულ დავალიანებას სავსებით გადაიხდიან ამ, თვის. 31-მდე, ბანკი

**იანგარიშებს მხოლოდ ოქროს კურსის 33 1/3 %-ს.**

1 თებერვლიდან კი კლიენტებს გადახდებათ ოქროს კურსის მთელი 100 პროცენტი.

## შავი ქვის მრეწველთა საბჭო.

ამით აცხადებს, რომ 27 იანვარს დილის 11 საათზე ჭიათურის თეატრის შენობაში დანიშნულია

შავი ქვის მრეწველთა მე-25 საგანგებო

### ყრილობა.

ჭიათურის სამრეწველო რაიონის ხევებში მისავალ რკინის გზების გაყვანის საკითხის განსახილველათ და გადასაჭრელათ.


მე-5 სტამბა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფგანყოფილების ლენინის ქ. 3.